# დეკანის ბრძანება №3

2012 წლის სტუდენტური კონკურსების გამოცხადების შესახებ

1. ფაკულტეტის საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული სტუდენტური ნაშრომების კონკურსის და სტუდენტური ინოვაციების კონკურსის დებულების საფუძველზე გამოცხადდეს
   a. სტუდენტური ნაშრომების კონკურსი;
   b. სტუდენტური ინოვაციების კონკურსი.
2. საკონკურსო განაცხადების მიღება მოხდეს ფაკულტეტის კანცელარიაში 12–დან 19 ოქტომბრის ჩათვლით 14–დან 17 საათამდე.
3. საკონკურსო განაცხადების განხილვა მოხდეს 2012 წლის ნოემბერის თვეში სტუდენტური ნაშრომების კონკურსის და სტუდენტური ინოვაციების კონკურსის დებულების შესაბამისად.
4. კონკურსებში გამარჯვებულების გამოვლენა მოხდეს 2012 წლის დეკემბრის თვეში.
5. დაევალოს ფაკულტეტის სამეცნიერეო კვლევებისა და განვითარების სამსახურს უზრუნველყოს
   a. კონკურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
   b. კონკურსების შესახებ ფაკულტეტის ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსება და მისი სისტემატიური განახლება;
   c. საჭიროების შემთხვევაში
      i. წინასწარი განაცხადების მიღება და დამუშავება;
      ii. შერჩეული სტუდენტებისთვის სტუდენტური ინოვაციების კონკურსის დებულებით განსაზღვრული ტრენინგების ჩატარება;
   d. საკონკურსო განაცხადების შერჩევა, გამოფენის ორგანიზება და მას მედიაში გაშუქება.

რამაზ ბოჭორიშვილი

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი